ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება № 17
2025 წლის 25 ივნისი
ქალაქი ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (დოკუმენტის ნომერი 428-IIმს-XIმპ, ვებგვერდი 04/04/2025, სარეგისტრაციო კოდი 010100000.05.001.102559) საქართველოს კანონის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1
შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge. თარიღი 16/11/2017წ. სარეგისტრაციო კოდი 010250040.35.138.016280) და დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

1. 135-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრებულო, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს კომისია, საკრებულოს ფრაქცია, მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო, მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირები: საკრებულოს ბიუროს წევრები, მერი, მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ვალდებულნი არიან ამ რეგლამენტის 137-ე მუხლით დადგენილი წესით წელიწადში ერთხელ მაინც, გამოაქვეყნონ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.".

2. 137-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ქ) მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ოქმი, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში.".

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე- დავით ლომიძე